ყოველდღიური გაზეთი

ფასი თბილისში და პროვინციაში 30 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 35 კაპ.

# საქართველო

**რედაქცია**

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უსათაურო განცხადებანი მასალა უყურადღებოდ დარჩება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადად მოლაპარაკება შეიძლება ამავე დროს.

**კონტორა**

პირველ აპრილიდან ხელის მოწერის წლიური ფასი თბილისში და ყველგან—18 მ. ერთი (წლიურ ქალაქში) 6 მ. და 50 კ. ცალკე № 30 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოეულ ზომით: 20×2—15 მანეთი, 30×2—20 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 1 მან. ქალაქგარეთ 1 მ. და 50 კ. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. სასწრაფო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

## ცნობები

11 ივნისს, გაიმართა ქართულ-გერმანულ ჯარების ალლუმი, ალლუმს დაესწრნენ მინისტრ-თავმჯდომარე ნ. რამიშვილი, სამხედრო მინისტრი გიორგაძე, გენერალ-ლეიტენანტი გაბაშვილი, გერმან. ელჩი გრაფი შულენბურგი, ობერ ლეიტენანტი კაიზერი და მრავალი სხვა. იმავ საღამოს ფოთიდან გერმანელთა ჯარების მესამე ეშელონი ჩამოვიდა.

თავზარდაცემული მეუღლე ოლღა, შვილები სონა და მიშა, ძმა დარიკო ხერხეულიძენი და სიძე ილუშა დავითიშვილი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ საყვარელის

ზურაბ (საშა) დიმიტრის ძის

ხერხეულიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ საღამოს 7 საათზე, საკუთარ ბინაზე (ნაძალადევი, პარკოვსკი ქ., 27), გამოსვენება ხუთშაბათს დილის 10 საათზე, დასაფლავება კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე.

3—3

ღრმად დამწუხრებულნი: სიდედრი მარიამი, ძმა ვასილი ოჯახობით, და, ლიზა, ცოლის ძმა კოტე კველიშვილი და ცოლის და ანნა ელიოზიშვილისა ოჯახობითურთ და კირილე მგალობლიშვილი მეუღლით გულმოკლულნი აუწყებენ ნაცნობთა და ნათესავებს ძვირფასი

ზურაბ (საშა) დიმიტრის ძის

ხერხეულიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველ დღე. გამოსვენება ხუთშაბათს.

(3—3)

ივანე (ვანო) სოლომონის ძე ჯაფარიძე შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს 13 ივნისს (ახალი სტილით) დილის 11 საათზედ კუკიის წმ. ნინოს ტაძარში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულის დაუვიწყარი ქალიშვილის

თინაზი

2—2

გლისაბედ ვლადიმერის ასული კორძაია შვილებით, ვალოდია, კოკი, აპოლონ და ნინა ჩიქოვანი, ქმრით ალექსი გიორგის ძით კორძაიათი, ნინა ვლადიმერის ასული კოჩინევისა შვილებით, ვალოდია და ვიქტორი, აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ შაბათს, 15 ამ თვეს, 10 საათზე დილით სოფელ კაცხში საგვარეულო მონასტერში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი საფლავზე ძვირფას და დაუვიწყარ მამის, ბაბუის და სიმამრის მომრიგებელ შუამავლისა

თავ. ვლადიმერ (ლადო) სიმონის ძის

აბაშიძის

სულის მოსახსენებლად.

1—1656—1

ნინო ორბელიანისა აუწყებს ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ შაბათს 15 ამა თვის, 10 საათზე დილით სოფელ კაცხში, საგვარეულო მონასტერში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი საფლავზე ძვირფას და დაუვიწყარ ძმის მომრიგებელ შუამავლისა

თავადი ვლადიმერ (ლადო) სიმონის-ძის

აბაშიძის

ვასილი, კონსტანტინე, დავით და ივანე ვლადიმერის ძენი აბაშიძენი, ელისაბედ ვლადიმერის ასული კორძაია და ნინა ვლადიმერის ასული კოჩინევისა, აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ რომ 15 ამ თვეს 10 საათზე დილით სოფელ კაცხში, საგვარეულო მონასტერში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი საფლავზე ძვირფას და დაუვიწყარ მამის მომრიგებელი შუამავლისა

თავადი ვლადიმერ (ლადო) სიმონის-ძის

აბაშიძის

ქართული კლუბი

კვირას, 16 ივნისს გაიმართება

გ. ქუჩიშვილის დილა

ვ. გომართელი—ლექცია. გ. ქუჩიშვილი—ახალი პოემა. ვ. რუხაძე, გ. შინატხელი და ვ. სათაშვილი.—დეკლამაცია. ნ. გოცირიძე, გ. იორდანიშვილი და რ. ჯიბილი—სცენები. ილ. ქურხული—სკრიპკა. ძმანი კავსაძენი—სიმღერები. ი. სილიბაშვილი—თარი.

დასაწყისი დილის 12 საათზე

ბილეთები იყიდება კასაში

გამგე გ. სათაშვილი

## ქართველი ლტოლვილები

მსოფლიო ომის დროს მრავალმა ერმა და მრავალმა ქვეყანამ განიცადა მტრის შემოსევის საშინელება და ამით გამოწვეული ლტოლვილთა საკითხის სიმწარე.. ქართველ ერს აქამომდე არ სწვევია ეს უბედურობა. რასაკვირველია, მას ჰყავდა ლტოლვილები ამ ომის დროს ოსმალეთის პირველი შემოსევის დროს და შემდეგომაც და ეხლა, როდესაც ოსმალთა ჯარმა ბათომი დაიპირა და გურიას შეესია, მრავალი ქართველობა იყო იძულებული თავისი კერა მიეტოვებინა.

მაგრამ ყოველივე ეს შორს იყო იმ საშინელებასთან, რომელსაც ჩვენ ეხლა განვიცდით. ბათუმისა და გურიის ლტოლვილები დროებით გამოეხიზნენ და მიატოვეს თავის კერა. ისინი მრავალ გაჭირვებას განიცდიან, მაგრამ არავისთვის არ უნდა იყოს საეჭვო, რომ ძლიერ მალე თავის კერას დაუბრუნდებიან. სულ სხვაა ეხლა, როდესაც ლტოლვილთა ტალღა ჯავახეთიდან და მესხეთიდან გვეძლევა მთელი თავისი ეროვნული საშინელებით.

საქართველოს ეს უძველესი და უძვირფასესი ქვეყნები, ეს აკვანი საქართველოს კულტურისა, ქართველი ერის შავბნელმა ბედის ბრუნვამ თითქმის საუკუნით მოსწყვიტა საქართველოს ეროვნულ სხეულს. შემცირდა ამ ქვეყნებში ქართული მოსახლეობა და შესუსტდა მათი მონაწილეობა საქართველოს საერთო ეროვნულ ცხოვრებაში. საქართველოს ეროვნული კულტურის აკვანს ესეც არ აკმარა მწარე ბედმა და დღეს ჩვენსა და ჩვენს ჯავახეთისა და მესხეთის მოძმეთა წინაშე საშინელი აჩრდილი აღიმართა: თუ ქართველმა ერმა ყოველგვარი საშუალება არ მოიხმარა, ყოველივე ზომა არ მიიღო, შესაძლოა საქართველოს ეროვნულ სხეულს სამუდამოდ ჩამოექცეთ მისი ცოცხალი ნაწილი და სამუდამოდ გაწყდეს ის ძაფები, რომელნიც აერთებენ საქართველოს გულს მის განუყრელ ნაწილებთან.

თანახმად ოსმალეთთან დადებულ ზავის პირობებისა მესხეთი და ჯავახეთი ოსმალეთის ხელში გადადის და საქართველოსთვის ეს იყო უდიდესი ეროვნული უბედურება. მაგრამ ოსმალეთის სამზღვრებში მომწყვდეულა კიდევ არ მოასწავებდა ჯავახეთისა და მესხეთის დაკარგვას. ამ ქვეყნებს მრავალ ჯერ გადაუტანია ოსმალეთის უღელი და ბატონობა, მაგრამ მაინც საქართველოს ეროვნულ სხეულის განუყრელ ნაწილად დარჩენილან. მაგრამ ეხლანდელი საქართველოს სახელმწიფოებრივი ჩამოშორება, შესაძლოა საბედისწერო გახდეს ჯავახეთისა და მესხეთისათვის. მთელი ქართული მოსახლეობა, ყოველივე რაც კი ქართული შერჩენილა ამ ქვეყნებში, მამაპაპეულ ადგილიდან დაძრულან და საქართველოსაკენ მოეშურებიან. და თუ მთელი ქართული მოსახლეობა თუნდაც დროებით დასტოვებს ჯავახეთსა და მესხეთს, თუ სავსებით გაცივდა ქართული კერა ამ ქვეყნებში, ჯავახეთი და მესხეთი სამუდამოთ დაკარგულად უნდა ჩაითვალოს საქართველოსათვის. სხვის ხელში გადასული ტერიტორიის დაბრუნება შეიძლება და ჯავახეთისა და მესხეთის ისევ საქართველოს საზღვრებში მოქცევის იმედი ჩვენ მუდამ უნდა გვქონდეს, მაგრამ ეს ჯავახეთი და მესხეთი უკვე აღარ იქნება საქართველოს ცოცხალი სხეულის ის ნაწილები, რომელსაც ჩვენ დღეს, შესაძლოა სამუდამოდ ვკარგავთ.

თუ საქართველომ ვერ შესძლო ჯავახეთიდან და მესხეთიდან აშლილ ლტოლვილთა ტალღების შეჩერება და მათი ძველს კერაზე დაბრუნება, საქართველოს ეხლანდელი თაობა უდიდესი ეროვნული ტრაგედიის მოწამე გახდება.

სამოცი ათასი ქართველი ლტოლვილი ამ ჟამად ბაკურიანისკენ მიეშურება და, რასაკვირველია მარტო სიტყვიერი დარიგება მათი, რომ დაბრუნდენ უკან. ვინაიდან მათთვის გადმოხვეწა უფრო სახიფათოა, ვინემ თავის ადგილას დარჩენა, რომ მათი ხელშეუხებლობა და სხვა უზრუნველ ყოფილი იქნება ოსმალეთის მთავრობის მიერ, მიზანს ვერ მიაღწევს. საჭიროა ამასთან ერთად მთავრობამ სასწრაფო ზომები მიიღოს, რომ ოსმალეთის მთავრობამ თვით მიჰმართოს მცხოვრებლებს მოწოდებით, რომ ისინი უზრუნველყოფენ ყველა მცხოვრებთა სიცოცხლესა და ქონების ხელშეუხებლობას ისევე, როგორც საქართველოს საზღვრებში უზრუნველყოფილია ყოველი ერისა და სარწმუნოების წევრი.

საჭიროა ყოველგვარი ზომების მიღება, ყოველი საშუალების გამოცდა, რომ ჯავახეთსა და მესხეთში სამუდამოდ არ გაცივდეს ქართული კერა და საქართველოს ამ უძვირფასეს ქვეყნებში მარტო ძველი კულტურისა, ძველი ეროვნული ძლიერების ნანგრევები და ნაშთები არ დაგვრჩეს.

## პარლამენტის დიქტატურა?!

ჩვენ ვიცით, რომ პარლამენტურ სახელმწიფოში, სახელმწიფოს თავი ქვეყანას სამინისტროს საშუალებით განაგებს. იმავე დროს ის ქვედა პალატის უძლიერესი პარტიის ლიდერს ანდობს სამინისტროს შედგენას.

როდესაც მინისტრთა საბჭოს ანუ, როგორც ამბობენ, მინისტრთა კაბინეტს პალატის უმეტესობა უნდობლობას უცხადებს, მთავრობას შეუძლია დაითხოვოს პალატა და მოახდინოს საკანონმდებლო პალატის ახალი არჩევნები. და, თუ ახლად არჩეულმა პალატამაც უნდობლობა გამოუცხადა, სამინისტრო უნდა გადადგეს.

ამას ეწოდება პარლამენტური სისტემა.

ამ სისტემის შესახებ ამბობდა ტიერი: მეფე მეფობს, მაგრამ არ განაგებსო.

როდესაც სამინისტრო მარტო ერთი პარტიისა კი არა, სხვა და სხვა პარტიის წარმომადგენელთაგან შესდგება, ამგვარ სამინისტროს კოალიციური სამინისტრო ეწოდება.

ცხადია, რომ, რაც უფრო ბევრი პარტიაა პარლამენტში და, რაც უფრო დიდია პარტიული განხეთქილება, მით უფრო ხანმოკლეა კოალიციური სამინისტროს სიცოცხლე. ყველაზე უფრო ჩქარ-ჩქარა სამინისტროები საფრანგეთსა და იტალიაში იცვლებიან.

პარლამენტური სისტემა სუფევს ინგლისში, საფრანგეთში, იტალიაში, ისპანიაში, პორტუგალიაში, უნგრეთში, ნორვეგიაში და ბალკანეთის სახელმწიფოებში.

პრუსიაში სამინისტრო მეფეს ემორჩილება და არა პარლამენტს. იმავე დროს მეფე ცდილობს ისეთი პოლიტიკა აწარმოოს, რომელსაც პარლამენტი თანაუგრძნობს. ამგვარ სისტემას დუალისტური სისტემა ეწოდება.

დუალისტური სისტემა სუფევს გერმანიის იმპერიის ცალკე სახელმწიფოებში, შვეციაში, იაპონიაში და ავსტრიაში.

დუალისტურსავე სისტემას უახლოვდება ჩრდილო-ამერიკის შტატების რესპუბლიკის კონსტიტუცია: ვინაიდან

1) რესპუბლიკის პრეზიდენტი ნიშნავს მინისტრებად არა-დეპუტატებს, 2) მინისტრები არ ესწრებიან საკანონმდებლო პალატების (კონგრესის) სხდომებს, 3) პოლიტიკას აწარმოებს მხოლოდ პრეზიდენტი, რომელიც მინისტრებს თავისუფლად ნიშნავს და სცვლის. იმავე დროს მინისტრები მხოლოდ პრეზიდენტის წინაშე აგებენ პასუხსა და თვითეული მათგანი მარტოოდენ მორჩილია პრეზიდენტის.

უეჭველია, კონგრესს აქვს გავლენა მინისტრებზე, ვინაიდან ისინი კონგრესის კომიტეტებში შედიან, მაგრამ

არ არიან არჩეული. პრეზიდიუმის აზრით მათი არჩევაც დღეს უნდა მოხდეს. რა თქმა უნდა მართლა ამ საკითხისათვის კრების დანიშვნა არც თუ ისე შესაფერისი იყო, მაგრამ ვინაიდან დღიურ წესრიგში სხვა საკითხები არა გვაქვს და ამ კომისიების არჩევნაკი მეტად საჭიროა, პრეზიდიუმმა გადასწყვიტა, რომ ამ კრებაზე მოხდეს დანარჩენ კომისიების არჩევნებიც. გადაეცანით ჯერ უკვე არჩეული კომისიების პრეზიდიუმებს (მდივანს) გთხოვთ წაიკითხოთ.

**უკვე არჩეული კომისიები.**

**აბაკელია.** (მდივანი კითხულობს): სამანდატო კომისიაში თავმჯდომარედ არჩეულია რაჟდენ არსენიძე, მის მდივნად კალ. ქავთარაძე.

სამეურნეო-საგამგეოში: თავმჯდომარედ: გიორგი ერაძე, მდივნად შალვა ქარუმიძე.

საბიუჯეტო-საფინანსოში: თავმჯდომარედ არჩეულია თოფურიძე, მის ამხანაგად ივს. ლორთქიფანიძე. მდივანი ასარჩევია.

სამხედროში: თავმჯდომარედ არჩეულია ეგ. გეგეჭკორი, მის ამხანაგებად ფხაზი და ვლად. გობეჩია. მდივანი ასარჩევია.

იურიდიულში: თავმჯდომარედ არჩეულია რაჟდენ არსენიძე, მის ამხანაგად გრიგოლ რცხილაძე, მდივნად რაფიელ ივანიცკი.

აგრარულში: თავმჯდომარედ არჩეულია კირილე ნინიძე, მდივნად თევდორე ღლონტი.

მუშათა და შრომის საკითხის კომისიაში: თავმჯდომარედ არჩეულია გიორგი ერაძე, მდივნად მინადორა ტოროშელიძისა.

საპარლამენტო კომისიაში: თავმჯდომარედ არჩეულია რაჟდენ არსენიძე, მდივნად არჩილ ჯაჯანაშვილი.

დამფუძნებელ კრების საარჩევნო კომისიაში: თავმჯდომარედ ალ. ლომთათიძე, მის ამხანაგად მიხ. კლიმიაშვილი, მდივნად ალ. წერეთელი.

საზღვო კომისიაში: პრეზიდიუმი ასარჩევია.

საკონსტიტუციო კომისიაში: თავმჯდომარედ არჩეულია სერგი ჯაფარიძე მდივნად პავ. საყვარელიძე.

**ასარჩევი კომისიები.**

ამათ გარდა ასარჩევია შემდეგი კომისიები:

1) ადგილობრივ მმართველობისა და თვითმართველობისა.

2) სახალხო განათლებისა.

3) გზათა კომისია.

4) ჯანმრთელობის კომისია და ხელოვნების კომისია.

**თავმჯდომარე.** მაშასადამე, თქვენ უკვე გაეცანით არჩეულ კომისიების პრეზიდიუმებს. შეიტყვეთ ისიც, თუ რა და რა კომისიები დაგვრჩა ასარჩევი. კომისიების შესახებ პრეზიდიუმს ჰქონდა მსჯელობა. რა ნაირად უნდა იმოქმედონ იმ კომისიებმა, რომელთაც არ ჰყავთ არც თავმჯდომარე და არც მდივანი ეს ჩვენთვის გამოურკვეველი დარჩა. ამიტომ მე გთხოვდით პრეზიდიუმის სახელით, რომ ამ კრების შემდეგ შეიკრიბნენ ეს კომისიები და აირჩიონ თავთავიანთი თავმჯდომარე და მდივანი. თუ ამის საწინააღმდეგო არა გაქვთ რა ეს ვიცილოთ და შემდეგ შევუდგეთ დანარჩენ კომისიების არჩევას. კომისიების წევრთა სია აქ ჩვენ შედგენილი გვაქვს. ალბად იგი ფრაქციათა შეთანხმებით არის შემუშავებული, და გთხოვთ მოისმინოთ. (მდივანს) წაიკითხეთ.

**კომისიის არჩევა.**

**აბაკელია.** (კითხულობს სიებს) სახალხო განათლების კომისიაში შედიან სოციალ-დემოკრატების მხრივ: ლ. ნათაძე, ილ. კაკაბაძე და ივს. ცინცაძე. ალიონის ჯგუფიდან: კალ. ქავთარაძე. სოციალისტ-რევოლუციონერთაგან: გ. ნათაძე. სოციალისტ-ფედერალისტთაგან: დიმ. უზნაძე. ნაციონალ-დემოკრატთაგან: შალვა ქარუმიძე.

გზათა კომისიაში შედიან: სოციალ-დემოკრატთაგან დ. სალაყაია და გ. ცინცაძე. სოციალისტ-რევოლუციონერთაგან: ივს. გობეჩია, სოციალ-ფედერალისტთაგან: მ. ყაუხჩიშვილი. ეროვნულ-დემოკრატთაგან: ნიკო ნიკოლაძე.

სახალხო ჯანმრთელობის კომისიაში: სოციალ-დემოკრატთაგან: ლოლაძე. ალიონელთაგან: გომართელი. სოც.-რევოლუციონერთაგან: აბაკელია. ეროვნულ-დემოკრატთაგან: დიმ. ჯავახიშვილი. სოციალისტ-ფედერალისტთაგან: შ. მიქელაძე.

ადგილობრივ მმართველობის და თვითმმართველობის კომისიაში: სოციალ-დემოკრატთაგან: რუსია მელიტონ, ლომთათიძე ალ., თევზაია ვიქტორ და კლიმიაშვილი მიხ., სოციალისტ-რევოლუციონერთაგან: ჩერქეზიშვილი ივ. სოციალისტ-ფედერალისტთაგან: ფირცხალავა სამსონ და მდივანი სვ. ეროვნულ-დემოკრატთაგან: წერეთელი ვახტანგ და ჯიქიაშვილი დ. ხელოვნების სექციაში შედიან: სოციალ-დემოკრ.: რ. არსენიძე, მამულაიშვილი და ვლ. მგელაძე. ეროვ.-დემ. შალვა ამირეჯიბი. ალიონელთაგან შალ. შარაშიძე; სოც. რევ. ვლ. გობეჩია, სოც.-ფედ.: აკაკი ფაღავა; ნაც.-დემოკრატთაგან: ალ. ახმეტელი, უპარტიოთაგან: კონ. მაყაშვილი.

**თავმჯდომარე.** თქვენ მოისმინეთ კომისიების სიები. რაიმე საწინააღმდეგო ხომ არავის აქვს? მაშ რაკი სიები მიღებულია შეიძლება ამ კრების შემდეგ კომისიები დარჩნენ და თავთავიანთი თავმჯდომარე და მდივანი აირჩიონ. თუ ამას მიიღებთ და სისრულეში მოიყვანთ მაშინ კომისიების თავმჯდომარეებს შეუძლიათ შეიკრიბნენ ხვალ 12 საათზე და გაანაწილონ დრო თუ რა დღეს რომელი კომისია იმოქმედებს. ამის შესახებ, თუ გაქვთ ვისმეს რაიმე წინადადება გთხოვთ შემოიტანოთ. წინადადება არავის შემოაქვს მაშასადამე ამით თავდება დღიური წესრიგი. ვთხოვ ფრაქციების თავმჯდომარეთ კრება რომ დაიშალოს, მობრძანდნენ მთავრობაში.

არის ფედერალისტების განცხადება. (მდივანს) გთხოვთ წაიკითხოთ.

**ფედერალისტთა განცხადება**

**აბაკელია.** (კითხულობს) ამით გაუწყებთ, რომ საფინანსო კომისიაში ს.-ფედერალისტთა ფრაქციიდან, ნაცვლად ამხ. სვ. მდივანისა, იქნება ამხ. მ. ყაუხჩიშვილი.

**თავმჯდომარე.** სიტყვა ეკუთვნის ინგილოს.

**სარწმუნოების კომისია**

**რ. ინგილო.** მე არ ვიცი რითი ვხელმძღვანელობდით ჩვენ, როდესაც კომისიებს ვირჩევდით. რა სისტემა გვაქვს არჩევნების? კომისიების არჩევნებს შესაძლოა მესამე კრებაც მოუნდომოთ და ჯერ კი არჩევნები არ დაგვიმთავრებია. კომისიების არჩევნები, თუ მარტო ფრაქციათა შეთანხმებაზე იქნება დამოკიდებული, შეიძლება იგი გამოდგეს მეტად უცნაური და ანაზღეული. ამის გამო კი კომისიები იქნება მრავალ რიცხოვანი. მე მგონი რომ საკითხი აქ უნდა გადავწყვიტოთ და ავირჩიოთ ყველა ის კომისიები, რომლებიც იქნებიან საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგების გამომხატველნი. თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ დავრწმუნდებით, რომ არჩეულ კომისიებში ჩვენ ერთი კომისია გამოგვრჩენია. მე მოგახსენებთ სარწმუნოების კომისიის შესახებ. შეიძლება ზოგიერთს ეს ეუცხოვოს, მაგრამ მისი არჩევა აუცილებელია. იურიდიულად ჩვენ ვალდებულნი ვართ ავირჩიოთ სარწმუნოების კომისია, ვინაიდან ჯერ ფაქტიურად ეკლესია სახელმწიფოდან არ გამოყოფილა. ამიტომ მე წინადადებას შემომაქვს ავირჩიოთ სარწმუნოების კომისია. სახელი მე არ მაშინებს: დავარქვით ამას თუ გნებავთ სარწმუნოების, თუნდა კიდევ კულტის კომისია.

ხსენებულ კომისიის არჩევა განსაკუთრებით საჭიროა მას შემდეგ, რაც იმ ხელშეკრულებაში, რომელიც ჩვენ დავდეთ ოსმალებმა შეიტანეს ერთი პუნქტი, რომელიც შეეხება საქართველოში მცხოვრებ მაჰმადიანთა სარწმუნოებასა და ზნე-ჩვეულებათ. ჩვენ უნდა მზრუნველობა ვიქონიოთ იმ ქართველ მცხოვრებლების შესახებ, რომელიც ხელშეკრულებით ჩვენ ჩამოგვშორდნენ და ოსმალეთის საზღვრებში მოექცნენ. ჩვენ კარგათ მოვიქცევით, თუ არჩეულ კომისიებს დაუმატებთ სარწმუნოების კომისიასაც.

**თავმჯდომარე.** დღის წეს-რიგში დასმული იყო იმ კომისიების არჩევა რომლებიც წინა კრებაზე არ იქმნენ არჩეულნი. ეხლა შემოვიდა ახალი წინადადება: ავირჩიოთ სარწმუნოების კომისია. როგორ გნებავთ დღესვე შევუდგეთ ხსენებულ კომისიის არჩევას, თუ შემდეგ კრებისათვის გადავდოთ? ან იქნებ მისი არჩევა საჭირო არ იყოს?



**ვიქტორ გამყრელიძე**

(30 წლის იუბილის გამო)

**ირ. წერეთელი.** მე წინადადება შემომაქვს, რომ ახლა დავადასტუროთ საჭიროება სარწმუნოების კომისიის არჩევისა, ხოლო შემდეგ კრებას მივანდოთ მის არჩევა და კომისიის წევრთა დამტკიცება.

**თავმჯდომარე.** მაშასადამე თქვენ მომხრე ხართ, რომ პრინციპიალურად წინადადება მიღებულ იქმნეს.

**ირ. წერეთელი.** დიახ! პრინციპიალურად. (წინადადება მიღებულია).

**თავმჯდომარე.** მაშ, ეხლა კრებას ვხურავ.

## სამხედრო ალლუმი

ივნისის 11-ს, საღამოს 5 საათზე ტფილისში გაიმართა ქართველ-გერმანელთა ჯარების ალლუმი. ჯარები სამთავე ჯურის სამხედრო იარაღით გამოწყობილნი იყვნენ სასახლიდან დიდების ტაძრამდე. ერთის მხრით იდგნენ ქართველი ჯარები, ხოლო მეორე მხრით გერმანელი. ჯარები თავით-ფეხამდე შეიარაღებული იყვნენ. პროსპექტი აუარებელ ხალხით იყო სავსე. საღამოს ხუთ საათზე სასახლიდან გამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა თავმჯდომარე ნ. ნ. რამიშვილი, გერმანიის ელჩი გრაფი შულენბურგ-ბერგი, სამხედრო მინისტრი გიორგაძე, გენერალ-ლეიტენანტი გაბაშვილი, ოსერ ლეიტენანტი კაიზერი და მრავალი აფიცრობა. დიდების ტაძრის წინ ნ. ნ. რამიშვილმა სიტყვით მიმართა გერმანელთა ჯარებს, მიესალმა მათ ჩამოსვლას კავკასიაში და გამოსთქვა სრული იმედი, რომ პირისპირ მდგარი ქართველი და გერმანელი ჯარები შეიძლებენ ერთმანეთთან შეთანხმებით დაიცვან ჩვენი ქვეყნის წესიერება და მშვიდობიანი ცხოვრება. შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა გრაფმა შულენბურგმა, რომელმაც სრული რწმენა გამოსთქვა იმისა, რომ საიმპერატორო გერმანიის ჯარები ქართული რესპუბლიკის ჯარები მეგობრულს განწყობილებაში იქნებიან და ერთმანეთის ინტერესებს დაიცავენ. ორივე სიტყვა დაფარული იქმნა „ვაშასი" და „ჰოხის" ძახილით! (ჰოხ—გერმანულია, და ნიშნავს—გაუმარჯოს). დასასრულს ჯარებმა საცერემონიო მარშით გამოიარეს.

## მოწოდება საქართველოს დამოუკიდებლობის გამო

ქუთაისის გუბერნიის, ბათუმის და სოხუმის ოლქების სახელმწიფო მოსამსახურეთა კავშირთა კავშირის რწმუნებულთა საბჭო ღრმად გამსჭვალული ძვირფასი საქართველოს და მის მრავალ ტანჯულ შვილთა დამოუკიდებლობის გამოცხადების მნიშვნელობით, შემდეგ მთელი საუკუნის მონობის რუსეთის თვითმპყრობელობის უღელში ძალის ქვეშ, და სრულის შეგნებით თავისი პასუხის მგებლობისა, განთავისუფლებული ქვეყნისა მის მოქალაქეთა, მის კანონმდებელ ორგანოსა და დემოკრატიულ მთავრობის წინაშე, და ღრმად დარწმუნებული დასაბამიდგან თავისუფლების მოტრფიალე საქართველოს ბრწყინვალე მომავალი,—სალამს უძღვნის ეროვნულ საბჭოს და საქართველოს მთავრობას ამ დიდებულ ისტორიულ აქტის გამო, თანაც აღუთქვამს თავის რწმუნებულთა სახელით გაბრწყინებულის ენერგიით და კეთილსინდისიერად ემსახუროს ხალხს და სახელმწიფო აღმშენებლობას ამიერიდან დამოუკიდებელ საქართველოსა, სადაც ქართველთან ერთად თავისუფლების თანაბრად ისარგებლებს ყველა მისი ერთგული მოქალაქე.

## სამშობლო მოგვიწოდებს

ქართველისა დედა!
უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა,
დიდის ნანასთან ქვითინი მთისა
მას უმზადებდა მომავალ გმირსა!

ამას მოსთქვამდა მგოსანი წარსულზე და აი დღეს აღსდგა ისევ ის დრო, ქართველ დედას ისევ დაუდგა ხანა თავისი დიდი მოვალეობისა—შეუდგეს გმირთა ზრდას განთავისუფლებული სამშობლოს დასაცავად! ის, რაც იყო ამ ასი წლის განმავლობაში დადუმებულნ, საზარელი და საშინელი, სამარცხვინო და საძაგელი, უნდა წაიშალოს, რომ ახალ ცხოვრებასთან ერთად ყველაფერი განახლებულად და ჯან-საღად წარმოგვიდგეს!

უნდა აღსდგეს ქართველი დედაც! უნდა გაითვალისწინოს მან, რომ სამშობლო მისი დღეს თავისუფალია და ამ თავისუფლებას კი გაფრთხილება და შენარჩუნება სჭირია. ამისათვის მას ბევრი შეუძლიან.

მკვდრეთით აღმდგარი სამშობლო ჯერ ისევ სუსტია, მას სჭირია ხელის შეწყობა, ზნეობრივი, ფიზიკური, ნივთიერი. ქართველ ქალს არ უნდა ეპიდებოდეს სამშობლოსადმი ძლიერ გრძნობათა გადმოძლვა პატრიოტული სიტყვებით. მოვალეობა შენი წმიდაა და მარტივი. შენ ვერ უყურებ გულგრილად მას, რაც მის გარშემო დღეს ხდება. მოქმედება გმართებს განუწყვეტელი, შეუჩერებელი, ყოველი შენი ძალ-ღონით, სულიერით, ფიზიკურით, ნივთიერით; ვინც რით უფრო მეტს შეძლებს, ვინც უფრო მეტად-მეტად მოეხმარება თავის მშვენიერ სამშობლოს!

სამშობლო მოგვიწოდებს, დაყოვნება აღარ შეიძლება. გამოდით ყველგან, ქალაქად, სოფლად, მოუყარეთ თავი ყველას, განურჩევლად კლასისა, წოდებისა, მიმართულებისა და სარწმუნოებისა. შეაკავშირეთ ყველანი ერთის უზენაესის მისწრაფებით—რითაც კი შეიძლება ფეხზე დააყენოთ ჩვენი სნეული დედა-სამშობლო! ნუ მოუკლავთ გულს ჩვენს მოკეთეს ჩვენის დაცემით და ნუ გავახარებთ მტერს, ჩვენს ბედნიერ მომავალს რომ სიხარულის ეჭვით უთვალთვალებს! აღსდექით, შეიძარით, მოიტანეთ მსხვერპლი წმიდა სამსხვერპლოზე!

მოიგონეთ წარსულის, ჩვენი თუ სხვის გმირნი, ქალნი თუ კაცნი! შვილის, ქმრის, საკუთარი სიცოცხლის გამწირველებთან ერთად არა ნაკლები შარავანდედით მოსილნი არიან ერთა ის შვილნი, რომელთაც ნებას, ფულს, ნივთს, ქამსა მის გაპირობებით, ყველაფერს რომ სამშობლოს სწირავდნენ!

მაშ მოიგლიჯეთ გულიდან ოქრო-ვერცხლის სამკაულნი მოიდრეგით, ლარიბნი, მოიძრენით თქვენი მზითვის თუნდ დანაგროვებული, სპილენძის თუნგი და ტაშტი! ყველაფერი ეს ერთნაირად სჭირდება სამშობლოს!

ღრმად მწამს, რომ ბევრი ქართველი ქალი, მხოლოდ მოხმობას ელოდა, რომ ესრულებინა თვისი წმიდა მოვალეობა ამ გვარად და ის აღარც დააყოვნებს მის განხორციელებას. ამოირჩიეთ ყველგან ორი-სამი ადამიანი, გადაეცით შეწირულ-შეგროვილი ნივთი და ისინი გადასცემენ ეროვნულ საბჭოსთან მომავალში საგანგებოდ ამისათვის დაარსებულ კომიტეტს. ყოველი შემწირველი დარწმუნებული აქნება რომ ნივთი დანიშნულებას მოხმარდება.

მთავრობას ფული სჭირდება, ოქრო-ვერცხლის ფული, აგრეთვე სპილენძისა, ესეთი ფული მცხოვრებთაც ხომ ცხოვრებას გაუმსუბუქებს, გაუიაფებს.

ჩვენ არა გვაქვს ომში დამსახურებული მენდლები, რომელთაც სთხოვენ შემაგროვებს ფულის მოსაპოვებლად, მაგრამ ყველას მოგვეპოვება სხვა გვარი ნივთები. და ჩვენი საქმისათვის მათმა შეწირვამ დაგვამსახურებინოს სამშობლოს მიერ ბოძებული ჯილდოანი!

იქნებ ჩვენს მაგალითს ჩვენი ქვეყნის სხვა ერთა შვილებმაც მიჰბაძონ.

ჩვენი ერი ისტორიულად ყველა ეროვნებათა დიდად შემგუებელი ყოფილა და არის დღემდის. ჩვენს სამშობლოში ბევრს მოუხდება მათგანს ცხოვრება და ნუ თუ არ აღმოჩნდებიან მათში ისეთნი, რომლებიც მარტო ფიზიკურად არ აპირებენ მის კალთებში შეფარებას და სულიერადაც განიმსჭვალებიან თვისი მომავალი სამშობლოს კეთილ დღეობის გრძნობითა?

აი მათ მოუწოდებთ ჩვენ, თუ არიან ასეთნი. დაგვეხმარონ, გვაგრძნობინონ, რომ ჩვენს განახლებულ სამშობლოს შემოხიზვნას უპირებენ ერთგულნიც, მისი ჭირისა და ლხინის თანამოზიარენი მომავალშიც. მაშ შევუდგეთ საქმეს ჯერ ჩვენ.

ჩემის მხრივ ვსწირავ ჩემს ოქროს საათს და ვერცხლის რამდენსამე საოჯახო ნივთს, რომელთაც გადავსცემ ეროვნულ საბჭოს.

**ნინო ყიფიანი.**

8 ივნისი.

## თეატრი და ხელოვნება

**სულხანიშვილის კონცერტი**

სულხანიშვილი უსათუოდ ნიჭიერი შემოქმედია—ორიგინალური გარდამქმნელი სახალხო მუსიკალური პოეზიისა—მაგრამ გაუზედაობა, მასალის უქონლობა და რაღაც შინაგანი სისუსტე თითქოს ნებას არ აძლევს მთლად და მძლავრად გაშალოს ფრთები. თქვენ უნდა ყოფილიყავით მის კონცერტზედ, რომ მიმხვდარიყავით—როგორ შეიძლება ნიჭიერი ადამიანი ჩაიწვდეს გულში საზოგადოებას, თუნდაც ყველაფერი ხელს უშლიდეს. უმგზავსი პატარა ხორო, ქალები რომელთაც უსახსრობასთან ერთად ხმა არა აქვთ, შუა სიტყვას და ნოტებზედ ჩერდებიან; კაცები, რომელნიც ხმის სისუსტეს სლოკინით ივსებენ და „სოლისტები"—რომელნიც... ეჰ, პირდაპირ წვალება იყო ადამიანისა, ასეთი „გუნდით"—სულხანიშვილი ვერ დაატკბობდა მუსიკალურ სმენას, რასაკვირველია, მაგრამ მისი „მესტვირული", „სამშობლო ხევსურისა", „გუთნური" და „მაშ გამარჯვება",— მარგალიტებივით გამოირჩეოდნენ სხვა საგალობლებსა და რომანსებში. თავისი ორიგინალური ქართული თვისებებით: საზეიმო აღტყინებით, ზოგგან მოცეკვავე სიმხიარულით, ზოგან თალხად მოსილი მწუხარებითა. ზოგან ქუჩენტელ მომგვრელ მთისა ყვილითა. მაგრამ ეს ძვირფასი თვლები, ქრისტეს მარგალიტებივით იბნეოდა, რადგან აღბად კონცერტის მომწყობთა უნარით—ისინი ამოვლებულნი დარჩნენ სიმუნწისა ერთის მხრით და ქანქარის სიყვარულის წვენში—მეორეს მხრით. ასეთს კონცერტებს მართალია ხელოსნები მართავენ, მაგრამ ხელოვნებამაც ყურადღება უნდა მიაქციოს.

**რაჟ.**

—

## ვიქტორ გამყრელიძე

ვიქტორმა სასცენო მოღვაწეობა ჯერ ისევ მოწაფეობიდან დაიწყო. მაშინ ის სამოქალაქო ინსტიტუტში სწავლობდა. ინსტიტუტში იმართებოდა წარმოდგენა-კონცერტები. ვიქტორმა მაშინვე გამოიჩინა უნარი სასცენო ხელოვნებისა. ამხანაგები, მასწავლებლები და გარეშე დამსწრენი აღტაცებაში მოჰყავდა მით უფრო, რომ გვერდით ედგა თავის ძმა, დამსახურებული მსახიობი დათიკო აწყურელი.

ძმ. გამყრელიძეებმა გადასწყვიტეს, სასცენო ასპარეზზე ემოქმედათ. 1883 წ. შეადგინეს სცენის მოყვარეთა წრე. დაიქირავეს ჩერქეზიშვილის ქუჩაზე ავალიშვილის სახლში დიდი ოთახი, გამართეს პაწია სცენა და შეუდგნენ წარმოდგენების მართვას.

ამ ხანად ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის რეჟისორად იყო მ. ყიფიანი, ეს ყიფიანი არც ერთ წარმოდგენას არ აცდენდა. შედიოდა სცენის მოყვარეებთან კულისებში და აქეზებდა ყველას სასცენო ხელოვნებისთვის. უფრო ყურადღებას აქცევდა ძმ. გამყრელიძეებს, რომელთაგან დიდი ნასიამოვნები რჩებოდა.

შემდეგ ვიქტორი მიიწვიეს მსახიობთა დასში, იმ დროს ანტრეპრიზა ჰქონდა ა. ნებიერიძეს. აქ ვიქტორმა ფართოდაც გაშალა თავისი ნიჭი.

ნებიერიძის შემდეგ ანტრეპრიზა გადავიდა მ. საფაროვ-აბაშიძეზე. მის ხელმძღვანელობით ვიქტორმა პირველად შეასრულა სვიმონ ლეონიძის როლი. (საბშობლო). ეს იყო 12 აპრილს, 1892 წ. ამ წარმოდგენას დაესწრო ჩვენი ილია, ნიკო ხიზანაშვილი და მრავალი სხვა. ფარდის ახდამდე შემთხვევით იკითხა ილიამ, სვიმონის როლს ხომ კოტე ყიფიანი თამაშობსო?

— არა,—უპასუხა ნიკომ,—ახალგაზრდა მსახიობი ვიქტორ გამყრელიძე ასრულებსო.

ილიამ წასვლა დააპირა. აიძულა ფარდა და ილია დარჩა. წარმოდგენა ბოლომდე მოისმინა და დიდი შთაბეჭდილებითაც დასტოვა თეატრის დარბაზი, რაც ილიამ ვრცელს წერილში გამოსთქვა („ივერია“, 1892 წ.) აქ კიდევ ერთი ამბავი მაგონდება. 1895 წ. ქართულმა დასმა გამართა წარმოდგენა სუმბათაშვილის და ოლივერ უენ დროოპის პატივსაცემად. წარმოადგინეს „პატარა კახი“ ვიქტორი ასრულებდა გელას, ისე აღტაცებაში მოიყვანა მან სტუმრები, რომ ორჯელ გაამეორებინეს მესამე მოქმედებაში „შუმლი მუხასა“. ამ სტუმრებს თან ჰყავდათ კორესპონდენტი „Театръ и Искусство“-სი, რომელმაც დიდის ქებით აღნიშნა ვიქტორი ხსენებულ ჟურნალის ფურცლებზე.

ამისთანა მაგალითები ბევრია ვიქტორის ცხოვრებაში, ბევრჯელ შიმშილიც განიცადა, მაგრამ მაინც ხელოვნებას არ ჰღალატობდა; მართალია, ბოლო დროს სამსახურში შევიდა, მაგრამ ეს იყო იძულებით: წვრილ შვილებისა და გაჭირვებულ ცხოვრების გამო.

აი, ამიტომ იყო, რომ ქართველ მსახიობთა საპროფესიო კავშირმა გადასწყვიტა გაუმართოს მას ზეიმი წარმოდგენა 30 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად, სახელმწიფო თეატრში 16 თიბათვეს, იმედია, საზოგადოება დაესწრება და დააფასებს ჩვენი სცენის ჩუმს და წყნარ მუშაკს.

**ივ. მჭედლიშვილი.**

რბაისელი ჩერქეზებიც (ყაბარდოელები), ქრისტიანს სოფელს თისას, რომელიც რუსულად იწოდებოდა „ვლადიმიროვკად“ და მდებარეობდა მაჰმადიან ოსების და ქისტების სოფლების შუა, მეზობელი მაჰმადიანები 29 აპრილს ღამე დაეცნენ, ყუმბარები, ტყვიისმფრქვევლები და თოფები დაუშინეს. ეს სოფელი კავკავიდან დაშორებულია 40 ვერსით. იმ ღამით წითელ რაზმის დახმარება კავკავიდან შეუძლებელი იყო. სოფელში 28 სული მოკლეს, ახალგაზრდობა და ხიზანი ღამის სიბნელით გადარჩნენ. სახლებში დარჩნენ ხნიერნი, რომელთაც კიდევ შეეძლოთ ხმარება იარაღის, მათ ასე მიჰმართეს ახალგაზრდობას: „მაინც ციწვით ოჯახიანად და ვიღუპებით, თქვენ წვრილის ხიზანის და მანდილოსნების დამარჩენლად იყავით, ეგ სირცხვილი არ იქნება, რომ დიდს ლაშქარს თავი გაახიზნოთ; ჩვენ, როგორც მოხუცები, ჩვენს ქოხებს (სახლებს) არ მოვშორდებით და არც მაგ მაჰმადიანთა თარეშს დაუსჯელად იაფად აქ მოვრჩებით. ასეც მოხდა, ყველა მოხუცი სახლში იარაღით ჩასაფრებული იყო და ვაჟკაცურადაც ემოქმედნა. ერთს მოხუცს 75 წლის ქრისტიანოსს ეზოში შემოსულ ავაზაკთა ბრბოდან 25 კაცი ემსხვერპლა. დაჭრილი რამდენია არავინ იცის. სხვანიც ასეთ ამბებს გადმოგვცემდნენ, მხოლოდ მაჰმადიანთა თარეშმა წაიღოტაცა ქონება ვლადიმიროვკელ ოსებისა და გადასწვა სახლებიც, შიგ მომწყვდეულ ჩასაფრებული ოსებით.

ახლა თვით ქისტებს შორისაც იჩინა თავი მტრობამ და მესისხლეობამ; ავაზაკთა ბრბო ცალ მხრივ იბრძვის და იმათ სისხლს ეძიებს, ვინც ამოხოცილ იქმნენ ქისტების მიერ. ამას ზედ დაერთო ის გარემოებაც, რომ მშვიდობიანმა ყაზახის და ქისტის ელჩებმა ყაზახის მიწები ჩამოსჭრეს და ქისტებს მიუზომეს, ეს საქმე თუ ოთხმა ყაზახის სტანიცამ ნებით მოაწყვდინა, რათა მათ შორის მტრობა მოსპობილიყო; საწყნარომოდ მთის ქისტები წყდებიან ბარის ქისტებს, ჩვენ უფრო მთის ხალხს ბრძოლაში ღვაწლი მიგვიძღვის და უმამულობასაც როგორც მთის ხალხი ჩვენ უფრო განვიცდით და ეგ ყაზახების ნაქონი მიწა ჩვენ გვეკუთვნისო. ამასობაში მთის ქისტი, ბარის ქისტი და ავაზაკთა ბრბო სამს ბანაკად გაიყო და ჩამოვარდა საშინელი მესისხლეობა, რასაც ხელს უწყობს ნაპრისტავალ, შავრაზმელები (ლივიცკი, კასუცკო და ჩერედნიკოვი). მართალია არსებობს თერგის ახალი მთავრობა, მაგრამ ხალხი მას არ ემორჩილება. უწესოება დღითი-დღე იზრდება. მშველელი და პატრონი კი არავინაა. დღეს სოფ. გიზელში გაიჩერეს ილიკო ჩქარიშვილის 1570 სული ცხვარი და აღარ იძლევიან. ოსები ამბობენ: „ჩვენ მესხეთაში წაგვერთვეს თოფები და დაგვიბრუნეთო“.

**კაცმან-წვერა.**

---

დოქტორი მიიღებსა

მოსე ანთიმოსის ძე

# კალანდარიშვილი

უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებებით ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7. ტელ. № 17—21.

---

ცენტრალი კომიტეტი ქართულ

# სამხედრო კავშირისა

აცხადებს ქართულ ჰიმნის მუსიკის კონკურსს შემდეგის პირობებით:

I. თავისუფალი ფორმა ორი ან სამ ნაწილებისაგან.
II. ხალხური.
III. მკაფიო და მოკლე.
IV. ჰიმნი უნდა დაიწეროს მხოლოდ აკაპელა (სასიმღერო).

საუკეთესო ნაწარმოებს მიეცემა პრემიად 1000 მან. და 75 პროც. კონცერტის სუფთა შემოსავლიდან.

ჰიმნებს შეასრულებს ქ. ს. კავშირის ქალ-ვაჟ მომღერალთა გუნდი. კომპოზიტორებმა ორიგინალი უნდა წარმოადგინონ 1 ივლისამდის (ახალი სტილით). მისამართი: ქ. თბილისი. ქართული კლუბი, სამხედრო კავშირი, მომღერალთა გუნდის გამგეს. (ნ—964—1)

---

## საქართველოს ეროვ. დემოკ. პარტიის მე-III რაიონის ბიურო

ამით აცხადებს, რომ ცნობების მიღება და პარტიაში ახალ წევრების ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 10—2 და საღამოს 5—7 საათამდის. ბიურო იმყოფება ტურგენევის ქ., № 4 მესამე მომრიგებელ მოსამართლის დარბაზში.

---

## საქართველოს ეროვ. დემოკ. პარტიის მე-III რაიონის ბიურო

ამით აცხადებს თავის წევრთა და თანამოაზრეთა საყურადღებოდ, რომ ხუთშაბათს 13 თიბათვეს, საღამოს 5 საათზე მე-III მომრიგებელ მოსამართლის დარბაზში (ტურგენევის ქუჩა, № 4) დანიშნულია საერთო კრება, რომელზედაც წაკითხული იქნება მოხსენება ომისა და ზავის შესახებ. 3—3

---

# სამკურნალო

## სამხედრო სპეციალისტ-ექიმების—გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

დიდ განქის ქუჩა № 8. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელ. № 481.

ექიმი ასპიროვი—ყელის, ყურის და ცხვირის. ყოველ დღე 12—1 საათამდის.
ექ. ახვლედიანი—შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობის. ყოველდღე 11—12 ს.
ექ. ბილდანოვი—შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობის. ყოველდღე 10—11 ს.
ექ. ჩუბინიძე—ნერვების, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკეობით 12—1 საათ
ექ. ვართაპეტოვი—შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობის. ყოველდღე 1—2 ს.
ექ. გოგოხიძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობის. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 12—1 ს.
ექ. მაზნიძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობის. ყოველ დღე საღ. 3—4 ს.
ექ. სუხიაშვილი—შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობის. ყოველდღე 4—5 ს.
ექ. მეიერი—თვალების ავადმყოფობის. ორშ., ოთხშ. და პარასკეობით 2—3 ს.
ექ. იმანოვი—თვალების ავადმყოფ. სამშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობით და კვირაობით 2—3 ს.
ექ. ყალამქაროვი—ქალთა და საბებიო. ყოველდღე 1—2 ს.
ექ. ნიჟარაძე—ქალთა და საბებიო. ყოველდღე 2—3 საათ.
ექ. ქალი სოხელიანი. ქალთა და საბებიო. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 11—12 ს.
ექ. ქალი ფირალოვა—ქალთა და საბავშვო სამშაბათობით, ხუთშაბათობით შაბათობით და კვირაობით. 11—12 ს.
ექ. შამაში—ქირურგიული (ლოსტაქარი). ყოველდღე 11—12 საათზე.
ექ. ფირალოვი—ქირურგი. ყოველდღე $12^1/_2$—$1^1/_2$ საათამდე.
ექ. ბარნაბა-ტოლაძე—სალოსტაქრო ავადმყოფ. ყოველდღე 2—3 საათ.
ექ. ცანდერი—სალოსტაქრო ავადმყოფ. ყოველდღე 4—5 საათ.
ექ. კიკეძე—კანის და ვენერიულ ავადმყოფობის. ყოველდღე 12—1 ს.
ექ. არხიპოვი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფობის 4—5 საათ.
კბილის ექ. ალიხანოვი—ყოველდღე 10—12 საათ.
კბილის ექ. ნურაძოვი—ყოველდღე 3—5 ს.

ოპერაციები მორიგებით, კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ანალიზი, ჰიპნოზი, მოსამსახურეთა და ძიძების გასინჯვა, სათვალეების შერჩევა. ფასი დარიგებისათვის 1 მ. 50 კ. 100—100

---

კვირას, 16 ივნისს, დილის 10 საათზე დანიშნულია „ახალ საკრებულო“-ს წევრთა საზოგადო

# წლიური კრება

განსახილველი საგნები: 1. 1917 წ. ანგარიში. 2. სარევიზიო კომისიის მოხსენება. 3. შემოსავლ-ხარჯის ხარჯთაღრიცხვა. 4. სარევიზიო კომისიის წევრთა, კლუბის წევრთა და კანდიდატთა არჩევნები. 4—2

---

პარასკევს, 14 ივნისს, საღამოს 6 საათზე, სამკურნალო ბანკის დარბაზში მოხდება საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქ. თბილისის მე-II რაიონის წევრთა

# საზოგადო კრება

შ. ქარუმიძე წაიკითხავს მოხსენებას: „სოციალიზმი და სოციალური რეფორმები“. 3—2

---

# სახელმწიფო თეატრი

კვირას, 16 ივნისს, ქართველ მსახიობთა კავშირი, დამსახურებულ მსახიობის

## ვიქტორ გამყრელიძის

30 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად გამართავს

## სადღესასწაულო წარმოდგენას

წარმოდგენილი იქნება

I

# პატარა კახი

აკაკისა. მესამე მოქმედება.

II

## რაც გინახავს, ვეღარ ნახავ

ა. ცაგარელისა. მეორე მოქმ.

III

# არიფ დარია

მ. გუნიასი. ვოდ. 1 მოქმედებად.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

ბილეთები იყიდება „ძმურს ნუგეშში“ და სახელმწიფო თეატრის კასაში.

---

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქალაქ თბილისის

# ორგანიზაციის გამგეობისაგან

ქ. თბილისის კომიტეტის დადგენილებით მოხდა პარტიულ საქმის რეორგანიზაცია ქალაქში. ნაცვლად წინანდელის დანაწილებისა უბნებად, რომელიც დღეიდან მოსპობილად ითვლება, ქ. თბილისი დანაწილებულია ოთხ რაიონად სახელდობრ:

I რაიონი—მტკვრის ზევით მხარე საბურთალოდან და ვაკედან, დაწყებული მოსკოვის ქუჩამდე და ვერის ღელმართამდე.

II რაიონი—მტკვრის ზევით ნაწილის დასაწყისი ნაწილი—მთაწმინდა, სოლოლაკი და სხვ.

III რაიონი—მტკვრის ქვევით მხარე ვორონცოვის ძეგლიდან მოყოლებული დიდუბემდე და ნაძალადევამდე.

IV რაიონი—მტკვრის ქვევით მხარე ვორონცოვის ძეგლიდან ორთაჭალამდე. თბილისის მცხოვრებ პარტიის წევრებს ეძლევათ დაუყოვნებლივ მიიღონ სათანადო სარაიონო კომიტეტისაგან ახალი წევრთა ბილეთები, ურომლისოდაც პარტიულ კრებებზე დასწრება აეკრძალებათ.

თბილისის კომიტეტის ბიურო იმყოფება ძველი კომიტეტის ბინაზე, (სასახლის ქუჩა, № 5, ტელეფ. 15—73).

ბიურო ღიაა ყოველ დღე, 10—დ 2 საათამდეა საღამოს 6—8 საათამდე.

---

ექიმი

## გ. ი. ხაიდუკელი

ასსისტენტი მოსკოვის სანატორიუმ-სამკურნალო ექ. ნ. მ. კიშკინის იღებს შინაგან და ნერვების ავადმყოფთ (პსიხოტერაპით) სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით ნაშუადღევის 3 ს.—5 საათამდე. ოლღას ქუჩა № 22.

---

სამკურნალო კაბინეტი ექიმ

## ალექსანდრე დავითის ძის

## კეკელიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება) ავადმყოფთა მიღება ქალებისა და ბავშვთათვის 4—5 დანარჩენები 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116 სასტუმრო „ნორდ“-ის პირდაპირ ტელეფონი 14—28.

---

მარტის 20 გაიხსნა ახალი

# სამკურნალო

ყოველგვარ ავადმყოფთათვის

ექიმ ი. მ. მძინარიშვილის და ლ. მ. ნაზარბეგიანცის

სამკურნალოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.

მიხეილის პროსპექტის და („კიროჩნის“ ქუჩ. კუთხე № 22 შესავალი კიროჩნის ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.

ვენერიულ ავადმყოფების მიღება—საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.

დარიგები მიიღებიან კვირაობით, 10—12-მდე უფასოდ.

---

ექიმი

## ლონხინი

პარიზის და ბერლინის უნივერსიტეტის ყოფილი დიდი ხნის ასსისტენტი იღებს თვალის ტკივილებით ავადმყოფებს.

დილის 10—12 ს. საღ. 4—7 საათამდე. მიხეილის პროსპ. 76. (ვაკის ხიდის საქვემო).

ტელეფონი 7—38.

---

ექიმი

## გ. წინამძღვრიშვილი

ყ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და სამედიც. ინსტიტ. შინაგან სნეულებათა კლინიკებისა. გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. იღებს: დილით 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე, ყოველ დღე, გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლო, სასტუმრო „ბო-მონდის“ პირდაპირ. თ—1018—47

---

ექიმი

## ნ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად შაქარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა (ხელოვნური პნევმოტორაქსი) ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე.

მისამართი: მოსკოვის ქ. № 11. თ—1536—39

სტამბა „ცხოვრება“ კალანდაძისა გამოცემის შესახვევი № 4.